საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030676009142718

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/4884 **03 / დეკემბერი / 2018 წ.**

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ წარმოადგენს აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) (შემდგომში „გლობალური ფონდი“) მიერ გამოყოფილის გრანტის (გრანტი GEO-H-NCDC) ფარგლებში დაფინანსებული „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ პროგრამის განმახორციელებელს.
დონორი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროგრამების მიზნებისთვის არსებული ავტოპარკი (ხსენებული ავტოპარკი წლების წინ შესყიდულია ასევე გლობალური ფონდის სახსრებით) ამორტიზებულია და ქმნის გარკვეულ სირთულეებს პროგრამის ამოცანების შესასრულებლად. ამდენად დონორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი იქნა შესაბამისი ფინანსური რესურსი პროგრამის მიზნებისათვის განკუთვნილი ავტოპარკის განახლებისთვის, რაც გულისხმობს 16 ახალი ავტომობილების შესყიდვას.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს №446 დადგენილების თანახმად, მიმდინარე წლის 29 ნოემბერს con@spa.gov.ge მოგმართეთ თხოვნით, შეითანხმოთ ავტომობილების შესყიდვის საკითხი. ვინაიდან აღნიშნული შესყიდვის განხორციელება იგეგმება (CPV კოდი - 34113100) კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ გლობალური ფონდის მიერ გამოყოფილი გრანტის (გრანტი GEO-H-NCDC) მოქმედების ვადა იწურება 2019 წლის 30 ივნისს, რა პერიოდშიც უნდა დასრულდეს საქონლის მიღება და განხორციელდეს შესაბამისი ანაზღაურება, ხოლო აუთვისებელი თანხა ბრუნდება დონორის ანგარიშზე.
გთხოვთ დაგვიდასტუროთ, რომ კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით აღნიშნული შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში 2019 წლის 1 ივნისამდე შესაძლებელი იქნება ყველა პროცედურის დასრულება და შესასყიდი საქონლის ცენტრისთვის მოწოდება; სხვა შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა განვახორციელოთ აღნიშნული შესყიდვა და მოვახდინოთ დონორის მიერ გამოყოფილი სახსრების პროგრამის მიზნების შესაბამისად ათვისება.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად ირმა ხონელიძე